

„შალომ კლუბი გურია“ - მიტკაალზე დახატული ღაპითი პარსკვლავიდან ისრაელის ერთ-ერთ მხარესთან დამეგობრებად

მრავალმხრივ წარმატებული და უკვე პოპულარული არასამთავრობო ორგანიზაციის „შალომ კლუბი გურია“ საქმიანობის უფრო დეტალურად გაცნობის მიზნით, გასული კვირის სამშაბათს დაბა ჩოხატაურში ამ ორგანიზაციის პრეზიდენტს, ბატონ **ზაურ ოსეფიშვილს** ვსტუმრობდით.

ზაურ ოსეფიშვილი - ბიზნეს ეკონომისტი, კვლავი, ისრაელის სამართავრობის განვითარების სააგენტო „MASHAV“-ის კურსდამთავრებული, BDC აკადემიის საკაბინო პროფესორი, მუშაობდა გორაკამეჩოვლის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლად, ორი მოწვევის საკრებულოს სოციალურ საპროტექტორად, არის სამართავრობის ორგანიზაცია „SHALOM CLUB“-ის წევრი, „SHALOM CLUB GURIA“-ს დაფუძნებელი და პრეზიდენტი. დაჯილდოებულია ისრაელის სამედიცინო საკაბინო სიგელით.

- ბატონო **ზაურ**, შეიძლება ითქვას, რომ „შალომ კლუბი გურია“ დღეს ერთ-ერთი რე-ზონანსული არასამთავრობო ორგანიზაციაა. კარგი იქნება თუ მკითხველს შევახსენებთ, როდის ჩამოყალიბდა, ვინ ჩამოაყალიბა და რა არის ამ ორგანიზაციის მიზანი?

- არასამთავრობო ორგანიზაცია „შალომ კლუბი გურია“ 2003 წლის აპრილში ჩამოაყალიბეს ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს

საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო „MASHAV“-ს კურსდამთავრებულმა, რომლებიც საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნებები და წარმატებული ადამიანები არიან. დღეს, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებული ასეთი კლუბები ერთმანეთთან თანამშრომლობენ. ეს არის დიდი ორგანიზებული ქსელი მსოფლიოში. კლუბის მიზანი გახლავთ, ისრაელში მიღებული ცოდნით, საქართველ-

ოში ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანდაცვის, შშმ პირთა, სოციალურ, კულტურის, სპორტისა და სხვა სფეროში, ასევე ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება. ამ მიმართულებით ახორციელებს კლუბი პროექტებს როგორც დონორების, ისე კლუბის წევრთა დახმარებით. კლუბში ამჟ-



ამდ 100-ზე მეტი ძირითადი და ასოცირებული წევრია, მათ შორის 15 საზღვარგარეთელია. კლუბის წევრი შეუძლია გახდეს ყველას, ვინც იზიარებს კლუბის მიზნებს.

- **ე. ივლიონის** „**ფურნალისტებს აქვთ კლუბის მე-**

ორე ასეულში მოხვედრის შანსი?

- რამდენადაც ვიცი, განსხვავებული მიზნები არასოდეს გვქონია, მივესალმები თუ ასეთი სურვილი გაქვთ, დანარჩენი უკვე, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმეა.

- **საინტერესოა, რით და**

როგორ დაიწყო კლუბმა საქმიანობა?

- ჩვენი ორგანიზაცია კლუბის პრინციპით მუშაობს, ისრაელის სახელმწიფოსა და ებრაელთა მიმართ პატივისცემა გვაერთ-





შ ა ლ ო მ კ ლ უ ბ ი გ უ რ ი ა

უბველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან
ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .
 ყოველკვირეული გამოშვება. № 10 (10380) 12 აპრილი 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

„9 აპრილმა ჩვენს თავისუფლებას მოგვიტანა“



„ალიონი. 9 აპრილს, სოფელ ლიხაურში, ნინო თოიძის საფლავზე ტრადიციულად ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. მათ ვთხოვეთ გაზეთ „ალიონთან“ ესაუბრათ 9 აპრილის მნიშვნელობის შესახებ.

ავთანდილ თაყარ-თქილაძე, ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის დირექტორი: -9 აპრილმა დიდი სიხარული დაგვიტოვა. ჩვენ წმინდანები გვყავს, 2 ქალბატონი გურიიდან - ნინო თოიძე და ნატო გიორგაძე. ჩვენი ცხოვრება 9 აპრილზე უნდა გადავაწყლოთ და მოვიქცეთ



9 აპრილი - უდიდესი ტკივილისა და ეროვნული სიამაყის დღე

9 აპრილს, სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში **გიორგი საზოკამ**, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდი-სთავში 9 აპრილს დაღუპული **ნინო თოიძისა და ნატო გიორგაძის** საფლავები მოინახულეს, ყვავილების გვირგვინებით შეამკეს და პატივი მიაგეს მათ ხსოვნას.

ნინო თოიძის საფლავზე ოზურგეთელ ომის ვეტერანებთან ერთად იმყოფებოდა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი **კობა კობალაძე** და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ბიძინა იმნაიშვილი**.

- „9 აპრილი ეს არის მწუხარებისა და დამოუკიდებლობის დღე, რომელმაც უდიდეს ტკივილთან ერთად დაგვიტოვა სიამაყის განცდა, რადგან ეს იყო ქა-



თველების ერთსულოვნებისა და ეროვნული ერთიანობის მიღწევის დღე. ტრაგიკულად დაღუპულ 21 გმირს შორის ერთ-ერთი ოზურგეთელი ნინო თოიძეა, რომლის სახელი ჩაიწერა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და თაობებს გადაეცემა“ - აღნიშნა **ფურნალისტებთან** ოზურგეთის მერმა, **კონსტანტინე შარაშენიძემ**.

- „9 აპრილი ჩვენი ქვეყნისთვის არის დღე თავისუფლების, ერთიანობის, 21 ადამიანი და მათ შორის ლიხაურელი ნინო თოიძე გახლავთ მაგალითი და სიმბოლო თავგანწირვის, ქვეყნისადმი უსაზღვრო სიყვარულის. ჩვენ პატივს მივაგებთ გმირების ხსოვნას. სიამაყით ვიხსენებთ 9 აპრილს და მადლობას

ვეუბნებით თითოეულ ადამიანს, რომელმაც ქვეყნის თავისუფლება, დამოუკიდებლობა გვარჩუნა.“ - თქვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩიამ**.

სოფელ ლიხაურის ცენტრში მოეწყო 9 აპრილის ამსახველი ფოტოების გამოფენა.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
 - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
 - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
 - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
 - შიდა შავთერ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
 - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
 - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
 - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
 - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:
ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუთორიზაციის შემთხვევაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქციონი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100
საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აციონზე
«ალიონით»

„9 აპრილმა ჩვენ თავისუფლება მოგვიტანა“

ლი, ის დიდი იდეა, რომელიც თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ და ჩვენმა დიდმა წინაპრებმა თქვეს. ეს დღე რამდენადაც სამწუხაროა, იმდენად საამაყო ჩვენთვის. **ვასტანგ მამიშვილი, მხატვარი, ჰელსინკის კავშირის წევრი:** - ამ დღით სატელევიზიო გადაცემებს ვუყურებდი და გამიხარდა, რომ კარგად გაშუქდა წლების წინ მივიწყებული 9 აპრილის თემა. ძალიან გული მტკიოდა, რომ ასეთ თემებს არ აშუქებდნენ, რომ ჩვენი ეროვნული იდეები თითქოს გაღარბებული იყო. კარგად მენიშნა ეს ამბავი, -რაც მეტი იქნება ასეთი გადაცემები, მეტი იქნება ეროვნული სული და ქართველი ხალხის სწრაფვა თავისუფლებისაკენ. 1989 წელს ქვეცნობიერად მივედი თავისუფლებისთვის ბრძოლაში. 10 აპრილს დიდი მიტინგი ჩატარდა ოზურგეთში, თეატრალურ მოედანზე. იყო მუქარები - ჯარი მოდის, მაგრამ ჩვენ არ შევინდით, მიტინგი მაინც ჩატარდა. შემდეგ შემოქმედის ტაძრისაკენ გავემართეთ. 10 ათასამდე კაცი შეგროვდა ტაძრის ეზოში. მე ეკლესიის სამრეკლოდან მიემართე ხალხს, საჯაროდ დავტოვე კომუნისტური პარტიის ბილეთი და მოუწოდე სხვებსაც დაეტოვებინათ კომპარტია. დამიბარეს უშიშროებაში. მეუღლეს ვუთხარი: - მეონი მიტინგზე და მაციმბირებენ, თბილი ტანსაცმლები მომიშადე-თქო. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია 9 აპრილამდეც და შემდეგაც ჩამოდიოდნენ ოზურგეთში და ვხვდებოდი მათ. ერთხელ ასეთი შემთხვევა იყო. თეატრის წინ მერაბ კოსტავა ხალხს მიმართავდა. ერთი ქალბატონი ამოვიდა პატარა ბავშვით თეატრის კიბეებზე და მიხივდა: - მერაბთან მიშუამდგომლე, რომ ჩვენ შეილს თავზე ხელი დაადოსო. მერაბის რომ ვუთხარი, გაეცინა, ბავშვს მოეფერა და თავზე აკოცა. **ზაურ კოსტავა, ჰელსინკის კავშირის წევრი, პირველი მოწვევის ეროვნული პარლამენტის წევრი:** - 9 აპრილი დიდი ბრძო-

ლი, ის დიდი იდეა, რომელიც თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ და ჩვენმა დიდმა წინაპრებმა თქვეს. ეს დღე რამდენადაც სამწუხაროა, იმდენად საამაყო ჩვენთვის. **ვასტანგ მამიშვილი, მხატვარი, ჰელსინკის კავშირის წევრი:** - ამ დღით სატელევიზიო გადაცემებს ვუყურებდი და გამიხარდა, რომ კარგად გაშუქდა წლების წინ მივიწყებული 9 აპრილის თემა. ძალიან გული მტკიოდა, რომ ასეთ თემებს არ აშუქებდნენ, რომ ჩვენი ეროვნული იდეები თითქოს გაღარბებული იყო. კარგად მენიშნა ეს ამბავი, -რაც მეტი იქნება ასეთი გადაცემები, მეტი იქნება ეროვნული სული და ქართველი ხალხის სწრაფვა თავისუფლებისაკენ. 1989 წელს ქვეცნობიერად მივედი თავისუფლებისთვის ბრძოლაში. 10 აპრილს დიდი მიტინგი ჩატარდა ოზურგეთში, თეატრალურ მოედანზე. იყო მუქარები - ჯარი მოდის, მაგრამ ჩვენ არ შევინდით, მიტინგი მაინც ჩატარდა. შემდეგ შემოქმედის ტაძრისაკენ გავემართეთ. 10 ათასამდე კაცი შეგროვდა ტაძრის ეზოში. მე ეკლესიის სამრეკლოდან მიემართე ხალხს, საჯაროდ დავტოვე კომუნისტური პარტიის ბილეთი და მოუწოდე სხვებსაც დაეტოვებინათ კომპარტია. დამიბარეს უშიშროებაში. მეუღლეს ვუთხარი: - მეონი მიტინგზე და მაციმბირებენ, თბილი ტანსაცმლები მომიშადე-თქო. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია 9 აპრილამდეც და შემდეგაც ჩამოდიოდნენ ოზურგეთში და ვხვდებოდი მათ. ერთხელ ასეთი შემთხვევა იყო. თეატრის წინ მერაბ კოსტავა ხალხს მიმართავდა. ერთი ქალბატონი ამოვიდა პატარა ბავშვით თეატრის კიბეებზე და მიხივდა: - მერაბთან მიშუამდგომლე, რომ ჩვენ შეილს თავზე ხელი დაადოსო. მერაბის რომ ვუთხარი, გაეცინა, ბავშვს მოეფერა და თავზე აკოცა. **ზაურ კოსტავა, ჰელსინკის კავშირის წევრი, პირველი მოწვევის ეროვნული პარლამენტის წევრი:** - 9 აპრილი დიდი ბრძო-



ლის დღე იყო. გული მწყდება, როცა ვხედავ დღეს რა მდგომარეობაა - როგორ გვეცლება ხელიდან ეროვნული ცნობიერება. **გიორგი თოიძე, სოფელ ლიხაურის მაჟორიტარი დეპუტატი:** - 9 აპრილი უდიდესი დღეა საქართველოს ისტორიაში, რომელმაც თავისუფლება მოგვიტანა. სწორედ ამ გმირების დამსახურებაა ეს. მეამაყება რომ ლიხაურელი ვარ. ნინო თოიძე, ისევე როგორც 9 აპრილის

შესვედრა სახალხო დამცველის მოადგილესთან



სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში **გიორგი სახოკია** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილეს ეკატერინე სხილაძესა და თანასწორობის დეპარტამენტის უფროსს ქეთევან შუბაშვილს შეხვდა. შესვედრაზე განხილული იყო გურიაში რელიგიურ და სოციალურ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხები და მათი გაუმჯობესების გზები. მხარეები ურთიერთთანამშრომლობაზე შეთანხმდნენ და სამომავლო გეგმები დასახვეს.

ოზურგეთში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ქალი დაიღუპა



5 აპრილს, ქ. ოზურგეთში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, ყოფილი პოლიგრაფიული გაერთიანების შენობის წინ, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. მსუბუქი ავტომანქანა ბოძს შეასკდა, რის შედეგად ქალი გარდაიცვალა, ხოლო ავტომანქანაში მყოფი 10 და 12 წლის მოზარ-

დები მიიმედ დაშავდნენ. მოზარდები „მედალფას“ კლინიკაში მოათავსეს. როგორც კლინიკა „მედალფას“ დირექტორმა **დავით მდინარაძემ** ჟურნალისტებთან განაცხადა, გოგონას ქალა-ფუძის მოტეხილობა აღენიშნება და მართვით სუნთქვაზე იმყოფება, ხოლო ბიჭს ქალა-ტენის დაზარული ტრავმა აქვს. ორივე მათგანის ჯანმრთელობის მდგომარეობა მიიმეა და მათ შესაბამისი პროფილის კლინიკაში გადაიყვანენ. საქართველოს შსს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

მიგრაციის სამართაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისიის ხელმძღვანელი გურიის გუბერნატორს შეხვდა

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს მისიის ხელმძღვანელი სანია ჩელები ლუკოვაცი გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულს გიორგი სახოკიასა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შეხვდა. სამხარეო ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე I საქართველოს მისიის წარმომადგენლებმა პროექტის „მდგრადი რეინტეგრაცია და თემის გაძლიერება: პილოტური ინიციატივა მიგრანტთა დაბრუნების თემებში“ საბილოტე ვერსია წარმოადგინეს, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობის ძალისხმევას დაბრუნებული მიგრანტების მდგრადი რეინტეგრაციის უზრუნველყოფისა და ადგილობრივი თემების გაძლიერების მიმართულებით. პროექტი დაფინანსებულია „მიგრაციის განვითარების ფონდის (IDF)“ და „შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC)“ მიერ. მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობისა და ერთობლივი აქტივობების განხორციელების სურვილი გამოთქვეს.



ოზურგეთის მერი სოფელ მერიის ნაღობილვის და გოგორეთის, ნატანების მოსახლეობას შეხვდა



ოზურგეთის მერი, კონსტანტინე შარაშენიძე, მერიის ადმინისტრაციული ერთეულის - სოფელ გოგორეთის მაცხოვრებლებს გეოლოგ-

ებთან და მერის წარმომადგენელთან, ნუგზარ ხომერიკთან ერთად შეხვდა და მათი საჭიროებები მოისმინა. ადგილობრივები სასმელის წყლის პრობლემის მოგვარებას ითხოვენ. მერის თქმით, სოფელში, განმეორებით ჭაბურღილის მშენებლობა დაიწყება, რადგან 1-ლი სამუშაოების შედეგად, სასმელად უვარგისი წყალი იქნა მიღებული. სამუშაოები, უახლოეს პერიოდში დაიწყება.

„შალომ კლუბი გურია“ - მიტკალზე დახატული ღავითი პარსკვლავიდან ისრაელის ერთ-ერთ მხარესთან დაეგობრება

თიანებს. თავდაპირველად ისრაელის დროშაც არ გვქონდა. არსად იყიდებოდა. შევიძინეთ მიტკალი, რომელზეც მხატვარს დავახატეთ დავითის ვარსკვლავი, თუმცა ზომებში დიდი მოგვივიდა. დღეს ეს დროშა ჩვენი რელიკვიაა და სიამაყით ვაჩვენებთ სტუმრებს.

მაშინ, 2003 წელს არავინ გვცნობდა. „შალომ კლუბი გურია“ გვქეოდა და ყველას უკვირდა, რატომ გურია?! ეს ჩვენი მეგობრის **ქნუტ გერბერის** იდეა იყო: - გააკეთეთ ოფისი ჩონატაურში, დაარქვით გურია, ყველაფერი თბილისში ხომ არ უნდა იყოსო, - გვიჩრია მან. და მართალიც დარჩა. არ გადავამეტებ და ვიტყვი, რომ ბევრ კლუბთან და არასამთავრობოსთან გვაქვს კავშირი როგორც ისრაელში, ასევე სხვა ქვეყნებში და ყველამ გაიგო, რომ საქართველოში გურია გამორჩეული, ულამაზესი კუთხეა, სადაც ტოლერანტი ადამიანები ცხოვრობენ.

- ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ პროექტს, რომელიც ფაქტობრივად ორგანიზაციის საქმიანობის ბაზადაა. რა იყო თქვენი პირველი პროექტი და შემდგომი წარმატებული პროექტებიც გავაყვანოთ.

- ჩვენი პირველი პროექტი იყო ვანში, ბანძაში, სუჯუნასა და ფოთში, ებრაელთა სასაფლაოების მდგომარეობის შესწავლა, რაც ჩვენი ფინანსური შესაძლებლობებით უზრუნველყავით. დავასუფთავეთ ერთი სასაფლაო, რომელიც ცუდ მდგომარეობაში იყო. საქართველოს მთავრობის წინაშე დავაყენეთ საკითხი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებად მიქნაით ებრაელთა სასაფლაოები და სინაგოგები, რასაც ისრაელში, ქართველი ებრაელების მხრიდან, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. შემდეგ, ასევე საკუთარი ძალებით მოვაწყვეთ ებრაული სიმღერის ფესტივალი ჩონატაურში. ჩამოვიყვანეთ მომღერალი და კომპოზიტორი **ნუცა ჯანელიძე**. ფესტივალში გამარჯვებულები ისრაელის და ამერიკის ელჩებმა მიიწვიეს მილენიუმის პროექტის პრეზენტაციაზე. 2004 წელს „ტელევიდემა“ მოამზადა გადაცემა „შალომ გურიაში“, დაიბეჭდა ვრცელი სტატიები გაზეთ „რესპუბლიკაში“, ასევე ისრაელის ჟურნალ „ამოდლეტში“, გაზეთ „ალიონში“, რომელიც თავიდანვე მხარს გვიჭერდა. ნელ-ნელა ცნობადი გახდით. დავიწყეთ ქართველ და ებრაელ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭიდაობის ტურნირის ჩატარება. ამ ტურნირში ყოველწლიურად 300-ზე მეტი ბავშვი მონაწილეობს დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტებიდან, რომელთაც ვაცნობთ ქართველებისა და ებრაელების ურთიერთობებს, ქართველი და ებრაელი გმირების ისტორიებს. ტურნირის ყოველ წელს ესწრებიან ისრაელის ელჩები, კონსულები, საქართველოს „MASHAV“-ის ცენტრის დირექტორი, სტუმრები

ისრაელიდან. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ ამ ტურნირს საერთაშორისო სტატუსი მიანიჭა და მასში უცხოელი მოჭიდავეებიც იღებენ მონაწილეობას. სამწუხაროდ, პანდემიის გამო 2020 წელს ტურნირი არ ჩატარებულა.

ვატარებთ კონკურსებს „ყველაფერი ისრაელის შესახებ“, რომელშიც ქართველი ბავშვები მონაწილეობენ, ამზადებენ ნაშრომებს ისრაელის შესახებ. გამარჯვებულებს გადაეცემათ პრიზები. მივიღეთ და ვუმასპინძლეთ ისრაელის ცეკვის ანსამბლს „მეხელოტი“, რომლის ხელმძღვანელი ქართველი ებრაელი იყო. სტადიონზე მოვაწყვეთ სპეციალური სცენა, კონცერტს 2000-ზე მეტი მაყურებელი დაესწრო. ყოველწლიურად აღნიშნავთ ისრაელის დამოუკიდებლობის დღეს. კლუბის წევრები ყოველ წელს მიწვეული არიან ისრაელის დამოუკიდებლობის აღსანიშნავ ღონისძიებაზე ქობილისში.

მოვაწყვეთ სირიელ, ებრაელ, იორდანიელ და ეგვიპტელ ბავშვთა ნახატების გამოფენა „მშვიდობა სიცილშია“. გამოფენა მოგზაურობდა მთელ მსოფლიოში, სპეციალურად ჩამოიტანეს გურიაში. აქ მას დაემატა ორი გურული ბავშვის ნახატი. შემდეგ ეს ნახატები ნიუ-იორკში გამოიფინა.

- როგორც ვიცით, „შალომ კლუბი გურია“ სოციალური პროექტებისა და გამოიჩინა, რამაც თანდათანობით მასშტაბური ხასიათი შეიძინა და გარკვეულწილად დადებითად იმოქმედა გურიის მუნიციპალიტეტებში მძიმე სოციალურ ფონზე.

- ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში პროექტების კეთება ჯერ კიდევ 2005 წლიდან დავიწყეთ. ისრაელის საელჩოსთან თანამშრომლობით, ისრაელიდან მოწვეულმა პროფესორებმა გურიაში თვალის უფასო ოპერაციები ჩაუტარეს 25-ზე მეტ ადამიანს. აქტიური მონაწილეობა მივიღეთ უფასო სასადილოს მოწყობაში, რომელსაც მოსახლეობიდან აკრეფილი და ასევე კლუბის წევრების შემოწირულობებით ვაფინანსებდით. ამ საქმეში ძალიან გვეხმარებოდა ამჟამინდელი დეპუტატი, ბატონი ვასილ ჩიგოგიძე. მოსახლეობაში დავარიგეთ მეორადი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, რომელიც შპს „მადლა“ შეგვიძინა, „მადლაში“ ერთი შესანიშნავი ებრაელი კაცი მუშაობდა, რომელმაც მისი ვინაობა არ გავაპოხელია. 2000 წელს მონაწილეობა მივიღეთ გაეროს პროექტში სურსათი სამუშაოებისთვის. მაშინ ძალიან უჭირდა მოსახლეობას და გაერომ უდიდესი დახმარება გაუწია საქართველოს. ებრაელი ბიზმესმენის დახმარებით, ამავე პერიოდში, ჩონატაურში შემოვიტანეთ ამერიკული დახმარება - 60 ტონა სასუქი, რომელიც მოსახლეობას უსასყიდლოდ დაურიგდა.

კლუბის წევრები ხშირად ვსტუმრობდით საბავშვო ბაღებს, ვიძენდით და გადავცემდით ბავშვებს

სათამაშოებს. ვეხმარებოდით რთულ პერიოდში ბაღების პურით და სხვა საკვები პროდუქტებით მომარაგებაში.

გავაკეთეთ პროექტი, რომელიც ასოციაცია „ნალამ“ და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დააფინანსა და მოვაწყვეთ შშმ ბავშვთა მომსახურების ცენტრი.

დაგვეხმარა პოლონეთის ფონდი და სამხატვრო სკოლაში ბავშვებს მოუწვევთ კერამიკის საამქრო. ისრაელის საელჩოს დახმარებით, ისრაელის ტექნოლოგიებით, მოვაწყვეთ საჩვენებელი სასწავლო სათბური, სადაც გამოგვყავს ესპანური მარწყვისა და ბოსტნეულის ნერგები, რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებით სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებს საკარმიდამო ნაკვეთებში ვუშენებთ მინი-პლანტაციებს. საჯარო სკოლებიდან მოგვყავს ბავშვები და ხელს ვუწყობთ სოფლის მეურნეობაში პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას, ლაპარაკია სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე. ამ პროექტში თავისდაუნებურად ჩართულია მოსახლეობა, როცა ისინი იძენენ ჩვენ სპროდუქციას, პარალელურად ეხმარებიან ამ ბავშვებს. ურეკში, ისრაელის „MASHAV“-თან თანამშრომლობით, ბავშვთა სარეაბილიტაციო სახლში „სურაფიმი“ დამონტაჟდა გათბობა-გაგრილების სისტემები.

ისრაელის საელჩოს დახმარებით, რუტის სკებით მოვაწყვეთ საფუტკრეები ვანისა და ჩონატაურის მუნიციპალიტეტებში; ისრაელის ტექნოლოგიით, ღია გრუნტში გავაშენეთ მარწყვის პლანტაცია წყალტუბოს მუნიციპალიტეტში; „MASHAV“-ის დახმარებით, ლენოვოს ლეპტოპები და ეტლები გადავცეთ შშმ ბავშვებს და პირებს ქუთაისის, ვანის, ჩონატაურის მუნიციპალიტეტებში; მოვაწყვეთ ბავშვთა ლოგოპედური გამოკვლევები ისრაელში კვალიფიცირებული ექიმების დახმარებით ჩონატაურის მუნიციპალიტეტში; ჩონატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბჟოლიეთში ბავშვებს დავეხმარეთ სპორტული მინისტრადონის მოწყობაში; ასოციაცია „ელკანას“ დახმარებით, მდინარე გუბაზეულზე მოვაწყვეთ 2 საფეხმავლო ხიდი. ეს არ არის დიდბუჯეტური პროექტები, მაგრამ კვდილობთ, ამით კარგი საქმე გვაკეთოთ. გურიიდან ისრაელში, ჩვენი რეკომენდაციით, კვალიფიკაცია აიმადლა 20-ზე მეტმა სპეციალისტმა.

- ცნობილია, რომ კლუბი გურიაში ტურიზმის განვითარებისა და ისრაელის მიზნად. შარშან ერთ-ერთი ტურისტული მარშრუტის მონაწილე ჩვენ, „ალიონის“ ჟურნალისტებიც ვიყავით, მეგობრებთან ერთად, უფრო სწორად, პირველებმა გავიარეთ ეს მარშრუტი სოფელ ზოტში.

- დიას, ტურიზმი ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. აქტიურად ვმუშაობთ გურიაში ამ დარგის განვითარებისთვის, ვე-



ხმარებით დაინტერესებულ პირებს საოჯახო სასტუმროების მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებში. შემუშავებული გვაქვს ტურისტული მარშრუტები, რომელსაც ვთავაზობთ ტურისტებს, მოწყობილი გვაქვს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი. ჩვენ შეგვიძლია ტურისტების მაღალ დონეზე მომსახურება.

- რა პროექტები განასწორციელებთ შარშან და რაზე მუშაობდით ამჟამად?

- სლოვაკეთის და ისრაელის საელჩოს დახმარებით, განვასწორციელებთ პროექტი „სუფთა წყალი ბავშვებს“ რომელიც ითვალისწინებდა სასმელი წყლის გაფილტვრას გურიის 8 სკოლაში ისრაელის მაღალტექნოლოგიური საფილტრი დანადგარით NUF500. ეს დანადგარები საუკეთესოა მსოფლიოში. მიუხედავად პანდემიისა, შევძელით დანადგარები შემოგვეტანა და დავკვებოთ საბავშვო მუნიციპალიტეტში. ამ საქმეში დავეხმარა ისრაელის ელჩი, ბატონი **რან ვიდორი**. მადლობას ვუხდით სლოვაკეთის და ისრაელის საელჩოებს, გურიის სამხარეო ადმინისტრაციას, გურიის მაჟორიტარ დეპუტატს, ბატონ **ვასილ ჩიგოგიძეს**, სამივე მუნიციპალიტეტის მერებს, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელებს თანადგომისთვის. განსაკუთრებულ მადლობას იმსახურებენ ისრაელში მცხოვრები პარტნიორები, კომპანიის დირექტორი **მინო ნეგრინი**, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ რეგულარული ფრენები არ იყო, მოახერხა დანადგარების გამოგზავნა. ამჟამად ვმუშაობთ, მოვიცვათ უფრო მეტი სკოლა და სააღმზრდელო დაწესებულება, სადაც სუფთა სასმელი წყლის პრობლემაა. საერთოდ, სუფთა სასმელი წყალი სერიოზული გამოწვევაა ჩვენს რეგიონში. ამას საქართველოს მთავრობის, საქსტატის და გაეროს (UNICEF) 2019 წლის კვლევებიც ადასტურებს.

- როგორია „შალომ კლუბი გურია“ წლებიდან გვემბეჭად? ალბათ, დაგვემბეჭადთ ახლო და შორეული პერსპექტივები.

- ისრაელის საელჩოს, გურიის სამხარეო ადმინისტრაციასთან, მუნიციპალიტეტების მერებთან და საგანმანათლებლო რესურსცენტრებთან თანამშრომლობით, ვვგეგმავთ

განვავრდით მუშაობა პროექტზე „სუფთა წყალი ბავშვებს“.

ჩავატარებთ მეტყველებების კორექციის კვლევებს, თბილისის კლინიკა „ლოგოპედის“ ექიმების ჩართულობით, რომლებიც კვალიფიცირებული არიან ისრაელის სპეციალურ კლინიკებში.

თუ პანდემიამ ხელი არ შეგვიშალა, ვვგეგმავთ, კვლავ განვაახლოთ მასწავლებელთა ტური გერმანიიდან, რომელიც 2019 წელს განსწორციელდა და ინფორმაცია ამ ტურზე მოხვდა გერმანიის ელჩის საანგარიშო მოხსენებაში, დაიბეჭდა უმხვილეს გერმანულ გაზეთში. თუ ხელშეკრულება გაფორმდა, ეს ძალიან წაადგება გურიაში ტურიზმის განვითარებას.

2021 წელს კვლავ განვავრდობთ ურთიერთობებს ჩვენს ებრაელ მეგობრებთან ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. განსაკუთრებული ურთიერთობა გვაქვს ისრაელის საერთაშორისო ორგანიზაცია **„გუფთა კავშირთან“**, რომელსაც შესანიშნავი ადამიანი **რობერტ ადარი** ხელმძღვანელობს. ასევე გავავრდებლეთ ურთიერთობებს ისრაელის სამთავრობო რადიო **„რეკა“-სთან**.

ჩვენი დიდი სურვილია გურია დაუმეგობრდეს ისრაელის ერთ-ერთ მხარეს. სულ მალე გურიაში ისრაელის ელჩი ჩამობრძანდება. მხარის გუბერნატორთან და გურიის მაჟორიტარ დეპუტატთან შეთანხმებით, ელჩთან შეხვედრის დღის წესრიგში შევიტანთ ამ საკითხს. ადრეც გვქონდა შეტანილი, მაგრამ რატომღაც გურულებმა მოვაკელით მცდელობა.

თქვენი გაზეთის საშუალებით, მადლობას ვუხდით ყველას, ვინც გვერდში გვიდგას ჩვენს საქმიანობაში: ისრაელის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო „MASHAV“-ს, ისრაელის საელჩოს, ელჩებს **შაბათი ცურს, იუვალ ფუქსს, რან ვიდორს**. სამხარეო ადმინისტრაციას, გურიის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს და იმ ადამიანებს ვისაც სურს, ხელი შეუწყოს ქართულ-ებრაული მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის კიდევ უფრო განვითარებას, რომელსაც ანალოგი არ აქვს მსოფლიოში.

ესაუბრა **თემურ მარშანიშვილი**.

ალიონი 90 1936 წელი



სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კვლევისათვის მოცემული მუშები იმავან დროს იმდენი ხელმძღვანელობით

სადრენაეო ქსელის გაწმენდა

ზოგ ჩაის ნიადაგით და შემდეგ როდესაც დადარდნილი ნიადაგს დასუფთავებენ, ზოგიერთი ადგილიდან და ფოსფორით დასუფთავებენ. ზოგიერთი ადგილიდან და ფოსფორით დასუფთავებენ. ზოგიერთი ადგილიდან და ფოსფორით დასუფთავებენ. ზოგიერთი ადგილიდან და ფოსფორით დასუფთავებენ.

თათბირი მშენებლის საპროექტო

23 ოქტომბერს, განათლების მუშაკთა კლუბში შედგა მეცხრე კოლმურნეთა რაიონული თათბირი, რომელსაც დაესწრო 232 კოლმურნე. თათბირს აგრეთვე დაესწრო საქ. კ. პ. (ბ) მასხარის რაიონის მდივნები ამხ. მ. კილაძე და ბ. ადამაძე, რაიონის მდივნები ამხ. მ. კილაძე და ბ. ადამაძე, რაიონის მდივნები ამხ. მ. კილაძე და ბ. ადამაძე, რაიონის მდივნები ამხ. მ. კილაძე და ბ. ადამაძე.

საქმიანი და საპატო პრეზიდენტის არჩევის შემდეგ თათბირზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა პარტიკომის მდივანი ამხ. ბ. ადამაძე. მომხსენებელმა თათბირზე დამსწრეებს დეტალურად გააცნო მეცხრეების განვითარების მნიშვნელობა და ჩვენი რაიონის ვადლებულება...

მომხსენებლის გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. შ. ჭანუყვაძემ (აგრონომი), მან კოლმურნეებს გააცნო თუ რა წესით უნდა მოხდეს სავენახე ადგილების და ვენახის ჯიშების შერჩევა.

ბაზის ჩსავერის საბჭოთა მურნეობის დირექტორმა ამხ. გრიგოლაშვილმა ილაპარაკა ჩსავერის კულტურის და სადღეს მნიშვნელობაზე.

კოლმურნე ილა კორკველიძემ (ვაკეჯვარი), აღნიშნა, რომ ის ჩსავერის კულტურის განვითარებას ეწევა 1903წლიდან. 3-4 წელია, რაც იგი სისტემატურად ამარაგებს ნერგებით ბაზის საბჭოთა მურნეობას. მან აიღო ვადლებულება, რომ წელს ნერგებით მაამარაგებს ვაკეჯვარის კოლმურნეობას.

თათბირზე კ. ჩსავერის მდივნოვ, რომ შრომის კოლმურნეობას მიეცეს ჩსავერის გაშენების გეგმა 1 ჰექტარზე.

ამხ. მ. კილაძემ (ბაზვი) აღნიშნა, რომ ზოგიერთი კოლმურნეები თავიანთ ჩსავერს ალუიცისაგან ტოვებენ, რის გამოც რჩებიან შესაწამლი მასალის გარეშე. მომავალში ასეთ მდგომარეობას ადგილი არ უნდა დავუჩინოთ. კოლმურნე თ. ხომერიკმა (ნატანები) ილაპარაკა, რომ მას გაშენებული აქვს დამჭირი ჩსავერის ვაზი, რომელიც წელსწავში 3-ჯერ შეწამულით საუკეთესოდ ხარობს. კამათში გამოვიდა აგრეთვე ამხ. ვაკეჯვარი (ასკანა), ხურციძე (თხინვალი), და ნემსაძე (ასკანა)...

სიბნალში აღილიდან მშენებლის მამალია

ეკადის კოლმურნეობას არ აქვს სამკითხველო. კოლმურნეობა მოკლებულია კულტურულ მომსახურებას. ამ მხრივ თავს არ იწუხებს არც სოფლსაბჭოს თავმჯდომარე და არც კოლმურნეობა.

ჩაის კრევის სეზონზე მკრეფავები ცუდ ამინდში სისტემატურად სველდებიან, რადგან პლანტაციებში თავშესაფარი ფარდლები არ იყო მოწყობილი.

კულტივატორების, გუთნების, და სხვა მანქანარაღების აღრიცხვა არ არის მოგვარებული. საკოლმურნეო საწყობში დამხალივითა ყველაფერი არეული.

საჭიროა მომავალშიც მიეცეს ყურადღება აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსწორების საქმეს.

„საჩინოების წიგნი არ შეიძლება“

20 ნოემბერს მასხარადის ქალსადგურში მოითხოვე მატარებლის ბილეთი ტფილისამდე 20 ნოემბრისათვის. მოღარე თიბის ქალმა უარი მიიხრა, მოესთხოვე 23 ნოემბრისათვის და კიდევ უარი მივიღე, მიუხედავად იმისა, რომ ბილეთები იყო. ჩემს კითხვაზე, თუ რატომ არ იძლეოდა ბილეთს, მიპასუხა: „არ არის და მიბრძანდი გარეთ“-ო. ამის შემდეგ უხრდელი მიწოდა. მოითხოვე საჩინოს წიგნი, მაგრამ მიპასუხა რომ „საჩინოს წიგნი არ შეიძლება“. უკან გაწმინდული და შეურაცხყოფილი დავბრუნდი.

ამ მდგომარეობას ქალაქის სადგურის გამგე უყურებდა დამშვიდებით. ასეთ თავხედ მოღარეს სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს.

აკაკი ურუშაძე
№84, 23 ნოემბერი, 1936 წ.

ფიზკულტურა და სპორტი

რამდენიმე დღის უკან მასხარადის ფიზკულტურის კომიტეტმა დაამთავრა საშემოდგომო გათამაშება ფეხბურთში ქალაქის პირველობაზე.

გათამაშებაში მონაწილეობას ღებულობდა 7 გუნდი, რომელთაგან პირველ ადგილზე გამოვიდა ჩაის ტექნიკების გუნდი 12 ქულით, მეორე ადგილზე - მოხრადილთა 10 წლიანი გუნდი (ქულით, მესამე ადგილზე აბრეშუმის ქარხანა 8 ქულით, ხოლო მეოთხე ადგილზე სრ.საშუალო სკოლის გუნდი 7 ქულით. დანარჩენი გუნდები გათამაშებაში სუსტი აღმოჩნდნენ.

8 ნოემბერს მოხდა გათამაშება რაიონის პირველობაზე, მონაწილეობას ღებულობდა 4 ძლიერი გუნდი.

ტ. ლეშაძე

პროსების შესაქმნად

ნასაკირალში გასული წლის პირველი იანვრისათვის მხოლოდ 25 სტანარეული იყო. 1936 წლის 1 ნოემბრისათვის კი მათი რაოდენობა 141-მდე გაიზარდა, ე.ი. მურნეობის მუშათა 21 პროცენტი სტანარეულია. მამიკო სკურუას გამოქმენების ნორმა - 40 კილო ჩაის მოკრეფა დღეში - დამახასიათებელია დანარჩენი სტანარეულებისთვისაც.

სტანარეულთა ზრდა მათდამი გულისხმობს დამოკიდებულების და ყოველმხრივ ხელშეწყობის შედეგია. ბევრ სხვა დანარჩენებთან ერთად აღსანიშნავია, რომ ამ რამდენიმე დღის უკან 10 სტანარეულს ათას-ათასი მანეთი მიეცა ძროხების შესაქმნად.

დარჩია
№86, 3 დეკემბერი, 1936 წ.

საჯარო ვაჭრობა

მასხარადის ქალაქის საბჭოს საფინანსო განყოფილება აცხადებს, რომ ა. წლის 15 დეკემბერს, დღის 4 საათზე ქალაქის საბჭოს შენობაში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება უჩრ. გადამდელითა აღწერილი ქონება. მოქ. ვარლამ ქავეჯვარადის, სამსონ თითბაძის, ბიქტორ გუნთაიშვილის და სხვების, შიფონერკა, რკინის საწოლი, მაგიდები, ბუფეტის შაკვი და სხვა საოჯახო ნივთები, აგრეთვე გაიყიდება ერთი ლაფშა ცხენი.

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია როგორც წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელს, ისე კოლმურნეებს და ერთპიროვნულ მურნეებს. (ცხენი, როგორც გამწვევი ძალა მიყიდულ იქნება კოლმურნეობაზე ან ორგანიზაციაზე).

ქალაქის საბჭოს ფინ-ინსპექტორი ჭოხონელიძე.
№88, 12 დეკემბერი, 1936 წ. -+

სემლიონების

„306 არის დანაშაუნი“ 6. ნაკაშიძის დაღმას. პ. ლოლაძის მხატვარი: ლ. მაღალაშვილი

8 და 9 დეკემბერს მასხარადის მუშათა თეატრში დაიდგა ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დანაშაუნი?“

მკითხველთა დიდი უმრავლესობისათვის ამ პიესის იდეურ-პოლიტიკური მნიშვნელობა საკმაოდ ცნობილია. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იგი ეკრანზე გამოიხატა რესპუბლიკის სახალხო არტისტის ალ. წუწუნავას რეჟისორობით. ამრიგად, ჩვენ სარეცენზიო წერილში საქმის ამ მხარეს არ

შევეხებით.

უნდა აღინიშნოს, რომ „მტრების“ შემდეგ თეატრის კოლექტივის სერიოზულად გარდაუქმნა თავისი მუშაობა და შეიძლება ითქვას, რომ „ვინ არის დანაშაუნი“-ს დადგმა წარმატებით ჩატარდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობმა ცეცილია წუწუნავამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ნაყურებელზე „სალიხეს“ როლში.

ც. წუწუნავას მოხენილობა თამაშმა მხნეობა შეიტანა კოლექტივის მიერ შემდგენლობაში, რამაც ხელი შეუწყო მიღწეულ რეჟისორებს თავიანთი როლის სერიოზულად დაძლევაში.

მსახიობმა ხურციძემ „ვინ არის დანაშაუნი“-ში ჩინებულად, უნაკლოდ შესარულა „ბაბუსა“ როლი.

კარგი იყო გრ. დლონტის თამაში სიკოს როლში. მშენებრივად ითამაშა ფაქტის როლი ნ. თაყაიშვილმა მოიხსენიებდა შალვა ჩაველიშვილი „არსენა“-ს როლში, რაც ნაწილობრივ რეჟისორის ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

ასევე უნდა ითქვას „ყარამანზე“ (ვ. გობრინიძე), რეჟისორის რომ მტვირთვლობა გაწევა მასზე, გაცილებით უკეთეს სედგეს მივიღებდით.

კარგი და დამაჯერებელი იყო მასობრივი სცენები, რაც რეჟისორის პლიუსად უნდა ჩაითვალოს.

ლ. მაღალაშვილმა ერთხელ კიდევ გამოამყარა თავისი ნიჭი „ვინ არის დანაშაუნი“-ს მხატვრულ გაფორმებაში. მხატვრობა დამაჯერებელი იყო.

როგორც ცნობილია, თანამედროვე დადგებში სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება მუსიკას. უნდა იტყვას, რომ „ვინ არის დანაშაუნი“-ს რეჟისორმა მოკლებული იყო მუსიკას.

დიდს მოიგება თეატრის კოლექტივი, რომ გამოყენებულიყო ძველი ხალხური სიმღერები, ხოლო ის რაც იყო, უფრო წესიერად შეესრულებინათ, მით უმეტეს, რომ ეს დღე სიმღერებს არ წარმოადგენდა, რადგან საკმაოდ მოიპოვება საამისო ძეგლები ჩვენთან.

მართალია „ვინ არის დანაშაუნი“-ჩვენი მყურებლებისათვის მოსაწყენი არასდროს არ იქნება, მაგრამ სასურველია თეატრი მოახერხებდეს უახლოეს ხანებში თანამედროვე აქტუალური პიესის დადგმას.

„ვინ არის დანაშაუნი“-ს დადგმით სჩანს, რომ თეატრს მოეპოვება შემდგომი აღმავლობის შესაძლებლობა.

სახელმწიფო დანაშაუნი მრავალ-შვილიან ოჯახებს

5 დეკემბერს რაიონის მუშათა კლუბში შეიკრიბა მრავალშვილიანი დედების სახელმწიფო მიტინგი, სადაც მოხსენება გაკეთა ამხ. პ. თავბერიძემ მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების შესახებ.

სიტყვებით გამოვიდნენ: მარიამ გოგიტიძე, მარიამლიპთაიძე და სხვ. მათი სიტყვებით მდლობით აღსაყენ იყო დიდი სტალინისადმი, ისინი ამბობდნენ: „ჩვენ ვზრუნავთ ჩვენს ბავშვებზე, მაგრამ ჩვენზე მეტად ჩვენს მომავალ თაობაზე ზრუნავს მშობილეთა ბელადი დიდი სტალინი, მდლობა და დღევანდელი მას.“

32 მრავალშვილიანი დედის მიერ ხელზე სულ 69 000 მანეთი. სოფ. კონჭკათის მცხოვრებმა სამხ. ქათამაძემ მიიღო დახმარება 4 000 მანეთი, მაკანეთის მცხოვრებმა მარი ნიკოლაშვილმა მიიღო 4 000 მანეთი და მერიის მცხოვრებმა მარი გოგიტიძემ 3 000 მანეთი.

დანარჩენ 29 მრავალშვილიანმა დედამ მიიღო 2 000 მანეთი.

№89, 16 დეკემბერი, 1936 წ.

ბუნებრივი სიმდიდრეები

მასხარადის რაიონის წიაღში ბევრი ხელუხლებელი ბუნებრივი სიმდიდრე მოიპოვება, სიმდიდრე, რომელზედაც უდიდესი მოთხოვნილებაა, და რომელიც ელის მზრუნველ ხელს. სოფ. გოგიეთში არის კირის საბადო, სოფ. მაკანეთში კალინი (ფაფურის თიხა), ასკანაში არის თეთრი თიხა „ასკანიტის“ სახელწოდებით ცნობილი, იგი იხმარება ნავთის საწმენდად. ნასაკირალსა და ვაკეჯვარში აღმოჩენილია რკინისა და სპილენძის ნიშნები.

თ. საბაშვილის სათანადო ღვაწლი მიუძღვის ამ მდენულების აღმოჩენის საქმეში, თითქმის მისი აღმოჩენილია ყველა ეს ბუნებრივი სიმდიდრის საბადოები და შემდეგ ინჟინერ-გეოლოგების (გ.

გვასარია, პროფ. თვალჭრელიძე და სხვ.) მიერ შემოწმებული.

მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ვერ ბევრი არაფერი გაკეთებულა ამ ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენებისათვის თუ არ მივიღებთ მხედველობაში ადგილობრივ მრეწველობას, რომელმაც ამ ბოლო დროს ხელი მოჰკიდა ახალ სამშენებლო მასალათა შესწავლას.

ვ. ვაკელი
№90, 22 დეკემბერი, 1936 წ.

რაზე ლაპარაკობს დავაზუსტო

(იტყვება შემოკლებით)

17 დეკემბერს, დღის 6 საათზე ხანძარმა გაანადგურა დავაზუსტო ახლადგებული ორსართულიანი შენობა, რომელშიაც მოთავსებული იყო სასოფლო საბჭოს, კოლმურნეობის და კოპერატივის სამმართველოები, კავშირგაბმულობის სასოფლო განყოფილება და საექიმო პუნქტი.

ხანძარმა შთანთქა ეს სამგაღიოთი თექვსმეტოთახანი შენობა, შოგ მოთავსებული ყველა დაწესებულების საქმეები და ინვენტარი მიუღწეობილობით. ზარალი, წინასწარი გამოანგარიშებით 300 000 მანეთად აღწევს...

ზოგიერთ ხელმძღვანელ მუშაკს ჰგონია, რომ სოციალისტური საკუთრების დაცვა მართლ ქურდობა-ცაცების და სხვ. მტაცებლების წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა გამოიხატოს, მაგრამ ცხადი არ არის ის, რომ სტიქიურ შემთხვევას - ხანძარს ქურდებსა და მტაცებლებზე ნაკლები ზარალი არ მოაქვს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოსათვის...

რა მოხდა დავაზუსტოში?

აქ არ გამოიჩინეს საჭირო სიფხიზლე ხანძრის მიმართ, უგულებელყვეს იგი, არ მიიღეს საჭირო, გამფრთხილებელი ზომები ხანძრის თავიდან ასაცილებლად და ამის შედეგად სტიქიურმა უბედურებამ საგრძობი ზარალი მიყენა სოციალისტურ სახელმწიფოს.

ცხადია, რომ დანაშაულები სასტიკად დაისჯებიან, მაგრამ ჩვენი საქმის მთავარი მხარე არის საინტერესო, საინტერესოა ის რომ, შეიძლება თუ არა ხანძრის თავიდან აშორება?

დაიღ! ხანძრის თავიდან აცილება სულ ადვილად შეიძლებოდა, ამ შენობას მომწველი, დამის დარავი რომ ყოფილა. შეიძლება სასოფლო საბჭოს არ ქონოდა ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯები, მაგრამ ხუთ დაწესებულებას, რომლებიც ამ შენობით სარგებლობდნენ, ხომ შეუძლიათ ერთად გაეღონ დარავის შესანახი ხარჯები? რასაკვირველია, შეუძლიათ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

როგორც ცნობილია, არსებობს წესი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო აზღვევს სტიქიური უბედურებისაგან სხვა შორის ნ ა გ ე ბ ა ს ა ც; დავაზუსტო კი, სამწუხაროდ, ესოდენ უზარმაზარი შენობა რეგულ არ ყოფილა დაზღვეული...

ახლა ორივე სიტყვა ჩვენი რაიონის სახანძრო რაზმის ხელსაყრელია. ქ. მასხარადის სახანძრო რაზმი მოწყობის მხრივ არ ჩამოუვარდება დიდი ქალაქების სახანძრო რაზმებს, მაგრამ სამწუხაროდ, აქ სუსტადაა დაყენებული ბრძოლა სახანძრო ტექნიკის დაუფლებისათვის.

მართალია, ცნობის მიღებისთანავე სახანძრო რაზმი დაუყოვნებლივ გამოცხადდა ხანძრის ადგილზე - დავაზუსტოში, მაგრამ იმ დროს, როცა გადამწვევები იყო თითოეული წუთი, რაზემეგმა საკმაოდ დრო დაჰკარგეს... წყლის ძენამი, წყლის შემსრუტ ინვენტარს ზოგი ჭიშკრე ეწიწებოდა, ზოგი ღელისკენ, მაგრამ არც ერთმა რაზმელთაგანმა არ იცოდა, სად წყლის და ჭის ადგილმდებარეობა; ამ გაწამაწამაში, სანამ ისინი მაგნებდნენ წყალს, ხანძარი საკმაოდ გაძლიერდა. მართლ ეს ფაქტიც ნათელია იმის, რომ მასხარადის სახანძრო რაზმელებს ვერ კიდევ არ აუთვისებიათ თავისი საქმის ტექნიკა სათანადოდ.

დავაზუსტო შემთხვევიდან საჭირო დასკვნები უნდა გაკეთონ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და საკოლმურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა. დავაზუსტო შემთხვევა უნდა დარჩეს უკანასკნელი, ხოლო ამ შემთხვევაში კონკრეტული დანაშაუნი უნდა დაისაჯოს რევოლუციური კანონების მიხედვით სისასტიკით.


№91, 26 დეკემბერი, 1936 წ.

გურიის რესპუბლიკა

გურიის რესპუბლიკის დაცემა

ინტერვიუ მასკალაშვილი უფლებით

დასაწყისი ის. „ალიონი“, №34-35, 1-9



პოლკოვნიკი ტომაჩივი აღნიშნავდა:

1. ოზურგეთის მახრის ჩოხათურისა და ლანჩხუთის უბნების მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს გადასახადები არ გადაეხადათ და ახალ-წვეულები ჯარში არ გაეკზვნათ. ჩემ მიერ წინა ხანებში მიცემული უკანასკნელი ვადის გასვლის მიუხედავად გლეხებს დარჩენილი გადასახადებიდან 1 კაპიკი კი არ გაუსტუმრებიათ. გლეხთა დამოურჩილებლობის აღკვეთის მიზნით ხოპერსკის კაზაკთა 1-ლი პოლკის 1,5 ასეულისა და ჩემს დაქვემდებარებაში არსებული მოხალისეთა პოლკის მე-3 და მე-5 ასეულებისაგან

რაზმი შევადგინე და ჩოხათურისა და ლანჩხუთის უბნების სოფლებისაკენ გავემართე. გადაწყვეტილი მქონდა, თუ მოსახლეობა კვლავ უარს იტყოდა გადასახადების გადახდაზე, ისინი ძალის გამოყენებით დამეთანხმებინა;

2. მე-3 ასეული და კაზაკთა 0,5 ასეული შტაბს-კაპიტან რომასკევიჩის მეთაურობით 1906 წლის 8 სექტემბერს სოფელ ხიდისთავისაკენ დაიძრა. სოფელი ხიდისთავი რევოლუციონერთა ბუნდელ ითვლებოდა. რაზმის დანარჩენი ნაწილი ჩემი მეთაურობით ოზურგეთიდან სოფელ სურებისაკენ დაიძრა, რომელსაც 9 სექტემბრისათვის მიაღწია;

3. სურებში მოსახლეობამ კატეგორიული უარი განაცხადა გადასახადების გადახდაზე. იგივე მოხდა ხიდისთავსა და ჩოხათურში. ჩოხათურში მუდმივად იდგა ბენდერის 132-ე ქვეითთა პოლკის მე-7 ასეული. მიუხედავად ამისა, მოსახლეობამ აქაც დაუმორჩილებლობა გამოაცხადა. გენერალ-გუბერნატორის ბრძანების თანახმად, მე ჯარისკაცები და ცხენები სოფლის მცხოვრებთა ოჯახებში ჩაგვყენე და მათი შენახვაც მოსახლეობას დავავალე;

4. 1906 წლის 9-10 სექტემბერს დამით და 10 სექტემბერს დილით აგენტებმა მაცნობეს, რომ სურების მოსახლეობას გადასახადების გადახდაზე უარის თქმის გარდა გადაწყვეტილი ჰქონდა ჯარზე თავდასხმა. ჯარზე თავდასხმის წინ მოსახლეობას ოჯახის წევრები და ქონება მთებში გაუხიზნავს. ცნობის სისწორეს ადასტურებდა ის, რომ 9-10 სექტემბერს დამით და 10 სექტემბერს დილით მართლაც შეინიშნებოდა მოსახლეობის გადაადგილება მთებისაკენ. შევნიშნეთ ისიც, რომ ჩემი რაზმი რევოლუციონერთა მზვერავებით იყო გარემოტყეული. როგორც კი ჯარისკაცები სახლებიდან გამოვიდოდნენ, მზვერავები მაშინვე მეთაურებს გადასცემდნენ ცნობებს. მზვერავები მუდმივად აღე-

ნებდნენ თვალყურს დამსჯელთა რაზმის გადაადგილებას;

5. შექმნილ ვითარებაში, იმის გამო, რომ მცირე ძალები (155 კაცი - 100 ქვეითი და 55 ცხენოსანი) მყავდა და ვიწყობებოდი ტყიან და მთიან ადგილებში, დაუყოვნებლივ გავგზავნე მაცნე ოზურგეთში, რათა სურებში დამატებითი სამხედრო ძალა გამოეგზავნათ. ოზურგეთიდან დამხმარე ძალა 11 სექტემბერს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე, გამოვიდა, 14,5 საათში 45 ვერსი გაიარა და როგორც იქნა 12 სექტემბერს მიაღწია სოფელ სურებს;

6. ოზურგეთიდან დამატებითი სამხედრო ძალის მოსვლის შემდეგ აგენტებმა მაცნობეს, რომ მეზობელმა სოფლებმა სურებელებს აჯანყებაზე უარი უთხრეს. ამასთან ერთად, რსდმპ გურიის კომიტეტს სოფელ სურების მცხოვრებთათვის უბრძანებია გადასახადები გადაეხადათ, რადგან რევოლუციონერები აჯანყების დაწყებისათვის ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად;

7. 12 სექტემბერს სურებელებმა მართლაც დაიწყეს გადასახადების გადახდა. მალე გადასახადი გადაიხადეს ხიდისთავის სასოფლო საზოგადოებაში შემავალი სოფელ ბასილეთის მცხოვრებლებმა და სხვებმა;

8. 12 სექტემბერს რაზმთან ერთად გადავიღე სოფელ ზემოხევში,

ხოლო შტაბს-კაპიტანი რომასკევიჩი სოფელ ერკეთში. ზემოხევის, ამაღლებისა და სხვა სოფლების მოსახლეობამ გადასახადების გადახდა დაიწყო;

9. 15 სექტემბერს სოფელ ზემოხევიდან გადავიღე ჩოხათურში, ხოლო 16 სექტემბერს დავბრუნდი ოზურგეთში.


ოზურგეთის მაზრის უფროსის მოვალეობის აღმსრულებლის მოხსენებიდან კარგად ჩანს, თუ რა ვითარება იყო გურიის სოფლებში, როგორი იყო მოსახლეობის განწყობილება.

როგორც ვხედავთ, ამჯერად გურიის მოსახლეობამ ჯარზე თავდასხმისაგან თავი შეიკავა, თუმცა ვითარება კვლავ დაძაბული რჩებოდა. რევოლუციის დადგმობაზე მიუთითებდა რსდმპ გურიის კომიტეტის გადაწყვეტილებაც. ეს იმას ნიშნავდა, რომ გურიის რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა. ხელისუფლებამ ოზურგეთის მაზრაზე კონტროლი აღადგინა.

მანანა გურული
სამართველოს ახალი ისტორია, 1801-1918 წ. ტ.3. გვ. 349-352

გურულ მოჯირითთა უცნობი დეტალები

იოსებ ბარამიძე



ერთხელ ბატონი მამია ლომაძე (მანარაძის რაიკომის ყოფილი მერე მდივანი) ქუჩაში შემხვდა და კკითხე, მოჯირითე ლომაძეების შესახებ ხომ არ იცით რაიმე, ან თქვენ ნათესავები ხომ არ იყვნენ მეთქი. ლომაძეები არა, მაგრამ ბაბუაჩემი იოსებ ბარამიძე იყო მოჯირითეო, მიპასუხა.

ამის შემდეგ სახლში ვესტუმრე ოზურგეთში, აკაკის ქუჩაზე. საუბარი ჩავიწერე 2001 წლის 21 ივნისს.

„იოსებ ბარამიძე დაიბადა 1875 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ გვიმბალაურში, გლეხის ოჯახში. მიღებული ჰქონდა მაშინდელი ორკლასიანი განათლება. ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა არტელებში, ხოლო 1930-1939 წლებში ლანჩხუთის აგურკრამიტის ქარხანაში საწყობის

გამგედ. ახალგაზრდობის წლებში, ოჯახურ საქმიანობასთან ერთად, ეწეოდა მესაქონლეობას, განსაკუთრებით ცხენების მოშენებას, ამ პერიოდში გარკვეულ როლს უთმობდა ცხენზე ჯირითს და სხვადასხვა სახის შეჯიბრებაში მონაწილეობას. იოსები ბაბუა იყო ჩემი დედის მხრიდან და ნამდვილად ვიცი, რომ 1915-1920 წლებში ორჯერ იყო ნამყოფი ამერიკაში გურულ ცხენოსნებთან ერთად, სადაც დიდი მოწონება დაუმსახურებიათ უცხოელ მაყურებელთა შორის, რისთვისაც მრავალი ჯილდო და ფასიანი საჩუქრები მიუღიათ.

ბაბუაჩემი იოსები საზოგადოებაში სარგებლობდა ავტორიტეტით და საყოველთაო სიყვარულით, მას სოფლის მცხოვრებლები ანდობდნენ მოსახლეობაში არსებული სადაო საკითხების მოგვარებას და მოწესრიგებას, რისთვისაც იგი არჩეული ჰყავდათ, როგორც მაშინ ეძახდნენ სოფლის „მედიატორად“.

იოსების მეუღლე იყო ელისი იმნაძე, მათ 1919 წელს შექმნეს ოჯახი. შეეძინათ რვა შვილი - ხუთი ვაჟი და სამი ქალი. ხუთი ვაჟიდან ომში გაიწვიეს ოთხი, რომელთაგან ორი ვანო და მირიანი არ დაბრუნებულა. დემობილზაციის შემდეგ ოჯახს დაუბრუნდა ორი ვაჟი, ერთი მუშაობდა პროკურორად. იოსების მრავალშვილიანი ოჯახის შთამომავლობა 80 სულს აღემატებოდა, რომლებიდანაც დიდი ბაბუის სახელი და ავტორიტეტი

თავისებურ სტიმულს გვაძლევდა თითოეულ ჩვენგანს, რათა ვყოფილიყავით ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ღირსეული წარმომადგენელი. მაშინ, როცა გურული ცხენოსნები ამერიკაში მიდიოდნენ და ტანსაცმლის, სურსათის ან რაიმეს წაღება უნდოდათ, ჩემოდნები არ იყო მოდამი და მოუხერხებელიც იყო მისი გამოყენება და ყველაფერი მიჰქონდათ ე.წ. „ხურჯინებით“ იმ დროს ხურჯინების კარგი მქსოველი ყოფილა ლანჩხუთელი არსენა ებრაძე, რომლისგანაც თხოულობდნენ ხურჯინებს (ზოგიერთი ყიდულობდა) გარკვეული დროით და შემდეგ უბრუნებდნენ პატრონს.

იოსებ ბარამიძე მჭერმეტყველი და იუპორის მქონე კაცი ყოფილა. ხურჯინთან დაკავშირებით შვილიშვილებისთვის უთქვამს: „ზოგიერთი ჩვენგური საზღვარგარეთ ვარ ნამყოფიო, თავმომწონედ ცხვირაწეული დადის, სწორედ ასეთი პიროვნება შეხვედრია ბაბუაჩემს და უთქვამს: ...ბიძია საზღვარგარეთ წასვლა კაია მარა, იქედან, რომ დაბრუნდები და ხალხისთვის რომ ვერაფერს გააკეთებ და თავში ახალი ცოდნის არაფერი დაგრჩება და ტრაბახობ, საზღვარგარეთ ვარ ნამყოფიო, მაშინ უნდა გითხრა, რომ საზღვარგარეთ ჩვენგური არსენა ებრაძის ხურჯინი ორჯერ იყო ნამყოფი ამერიკაში, მაგრამ რომ ჩამოვიდა, იქედან არაფერი შეუცვლია, ისევ ხურჯინად დარჩა“.

იოსები გარდაიცვალა 1946

წელს, ომიდან ჩამოუსვლელი ორი ვაჟის მოლოდინში, ხშირად იტყოდა და იმეორებდა თურმე, რომ ჩამოვლენ ჩემი ბიჭები ომგადახდილები და იმის შემდეგ მე და ჩემს მეუღლეს, იმ ქვეყნად გაცილებისას თავზე, რომ დაგვადგებიან, ხუთი ვაჟაკაცისა და სამი ქალიშვილის ნამრაველი, ამაზე დიდი ბედნიერება ალბათ არ ასებობსო... სიცოცხლე გრძელდება, ჩვენ ვამყოფობთ ჩვენი წინაპრის ნამოღვაწით.

როცა საუბარი დავასრულეთ ქალბატონმა ციალამ ბატონ მამიას მეუღლემ ამირან ცამციშვილის

წიგნი „ქართველი ცხენოსნები უცხოეთში“ გამოქვეყნა, წიგნი მარჯა და მარჯენა ის ფოტო სადაც აღმეჭვდილი იყო იოსებ ბარამიძე სხვა ცხენოსნებთან ერთად. აღნიშნული ინფორმაცია გადაუგზავნე ამერიკაში რიჩარდ ჯორჯიანს, რომელიც დაინტერესდა არსენა ებრაძის ისტორიით, ხურჯინით და დამატებით ინფორმაციების გადაგზავნა მთხოვა.

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის სამუზეუმი გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი



უცხოეთში საცხენოსნოდ მრავალჯერის ნამგზავრი ქართველი მხედრები: დგანან (მარცხნიდან): იოსებ იმნაძე, ლუკა ჩხარტიშვილი, დათა ქაჯაია, უშანგი კვეტაიშვილი, მირონ ჭყონია, ალექსანდრე ხუხუნაიშვილი, პავლე მანარაძე; სხედან: ყარამან იმნაძე, ივანე ჯორჯენაძე, ირაკლი ცინცაძე, ???; ფეხმორთხმული არიან: პორფილე ქანტარია, კონსტანტინე ჩხარტიშვილი, ტიფო ქავთარაძე, ივანე ბარამიძე, სიმონ ორაგველიძე.

„ანზორ ერქომაიშვილია ჩვენ დაგვიბრუნა ჩვენი პროვნული მუსიკალური იდენტობა“

იყავ ნაღდი პრისკაცი



ეს განსაკუთრებით სიტყვა სამხსოვრო, სახელმწიფო მომავალი თაობებისთვის სიმონ ვანგულაშვილის ისტორიული სიტყვა წარმოთქმული დიდი ანზორ ერქომაიშვილის დაკრძალვისას მოაწმინდა:

ჩვენ ვიმყოფებით საკარგო ადგილზე. სვეტიცხოველთან, დიდგორთან, გელათთან, ჭყონდიდთან თუ ოშკანთან ერთად, ეს ერთერთი ყველაზე წმინდა ადგილია საქართველოში და დედამიწაზე. და ამ ადგილის მნიშვნელობა ჩვენი ეროვნული თვითშეგნებისათვის, ჩვენი კულტურისათვის, განუზომლად გაზარდა ღვთაებრივმა ილია მართალმა, როდესაც ეს ადგილი აირჩია ეროვნულ პანთეონად და აქ ღმერთი ყოფიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი დაკრძალა. და აი, აქ ამ ადგილზე, სადაც განისვენებენ დიდი ილია, ვაჟა, გალაკტიონი, აკაკი, სხვა დიდი მამულიშვილები, ჩვენ დღეს ამოვიყვანეთ ადამიანი, რომელსაც დღეს ყველანი უწოდებთ და ათწლეულების წინ საქართველოს ტანჯულმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ უწოდა ქართული მუსიკის ექვთიმე თაყაიშვილი.

და დღეს ექვთიმე თაყაიშვილთან და ამ დიდ მამულიშვილებთან ჩვენ ამოვიყვანეთ ბატონი ანზორი.

ეს საღვთო განგებულება და ეს ქართველი ერის ნება! მთელი საქართველო ერთსულოვანია ამ გადაწყვეტილებას!

და თავისი სიკვილითაც მან, ჩვენმა დიდმა მასწავლებელმა, გენიალურმა მუსიკოსმა, ეპოქალურმა მოღვაწემ, თავისი სიკვილითაც მან მარადისობის თანაზიარნი გაგვხადა, რადგანაც, დიანაც, ეს წამები, ეს წუთები, არის მარადისობასთან

შეხვედრა - ქართველ მოღვაწეთა, მსოფლიო მნიშვნელობის მოღვაწეთა დიდ თანაზიარსკვლავებს უერთდება დიდი მუსიკოსი, მუშაკი, არაერთი თაობის აღმზრდელი და მის, საქართველოსთვის დადილი და მინც დაუღწევლ სხეულს ჩვენ ვაძარებთ ამ წმინდა მიწას.

მის ღვაწლზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება და არც არის ეხლა საჭირო დასრულებით მოვილა და თქმა, თუ ვინ იყო იგი, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად უნდა ვთქვათ, რომ ანზორ ერქომაიშვილია ჩვენი ქართველებს დაგვიბრუნა ჩვენი ეროვნული მუსიკალური იდენტობა - ქართველთა სიმრავლეს მთელ ერს! ის, რასაც ჩვენ განვიცდით ამ ღვთაური პანთეონის სმინასს, ის რასაც ჩვენ ვვრძობთ, თუნდაც უბრალოდ სიტყვების - "ჩაქრული", "სასანბეურა", "შენ ხარ ვენახი" ან "წინწყარო" გასწავლისას, აი ეს ვრძობა სწორედ ანზორ ერქომაიშვილის დამსახურებაა. მან, როგორც იაკობ გოგებაშვილის იმ საოცარ თხზულებას, მან თითქოს გაგვასწავა ჩვენი აფანა, მან დაგვარუნა ზეციურ მშობლთან, მან დაგვარუნა ღვთაებრივთან, მან დაგვარუნა მარადიულ მუსიკასთან! და ამ მარადიული პარმონით, ამ მარადიული მშვენიერებით, აბსოლუტური მშვენიერებით, რასაც ქრისტიანულად, რელიგიურად ღმერთს ვუწოდებთ, იყო ანთებული და გაღვნილი მისი ყველა სიტყვა, მისი ყველა საქმე, მისი პიროვნება, მისი სახე, მისი ღმერთი... საოცარი სიბოთითი და სიკეთითი აღსავსე მისი ღმერთი...

და ჩვენ გვაქვს დიდი ტკივილი, იმიტომ, რომ ამ ღმერთს ვეძარსადროს ვეძარ ვნახავთ. ჩვენ გვაქვს დიდი გლოვა, იმიტომ,

რომ ვვრძობთ, რომ მას კიდევ შევძლო, რომ არა ეს ვერაფერ სენი, კიდევ ბევრი დიდი საქმე ეკეთებინა. მაგრამ საღვთო განგებულება იყო ასეთი, ღმერთმა ასე ინება, რომ დღეს ჩვენან წაეყვანა ეს დიდი ადამიანი. ჩვენ ტკივილით აღსავსე გული გვაქვს, მაგრამ ეს ტკივილი ჩვენთან დარჩება და ჩვენთან ერთად წავა მარადისობაში ასევე.

ანზორ ერქომაიშვილის სახელი კი მარადიულად იბრუნება და ასევე - მისი საქმეები, რომლებსაც ის აკეთებდა ისე რომ ისინი ყოფილიყვნენ მარადიული.

ის არაფერს არ აკეთებდა მხოლოდ იმ წუთისთვის ან მხოლოდ რაღაც ვიწრო მიზნებისთვის. მისი ყველა საქმე დაუსრულებლობაზე, მარადიულობაზე იყო გათვლილი, - იქნებოდა ეს მსოფლიოს ყველა არქონში, თუ საქართველოს არქონებში მიმოფანტული ჩანაწერების ჩამოტანა, მოვლა, გაცოცხლება, აღდგენა, გავრცელება და იქ დაცული უნიკალური შედეგების გადაცემა მომავალი თაობებისათვის; იქნებოდა ეს დიდების თუ ბავშვთა საოცარი ანსამბლების დარსება, იქნებოდა ეს საოცარი "რუსთავი", რომელთან ერთადაც მან შექმნა ქართული სიმღერისა და საგალობლის შესრულების სრულყოფილი იდეა, სრულყოფილი მიღწევა, პარადიგმა, სტანდარტი, რომელზეც ჩვენ ყველას გვაქვს სწორება და რომლითაც მუდამ იამყებს საქართველო. მისი ყველა საქმე სწორედ მარადისობით იყო ანთებული!

და ჩვენ ამას ყველანი ვვრძობდით. - ის ყველას გვაჩვენებდა სიყვარულს, ვინც ვიცნობდით და ვისაც მასთან ურთიერთობა

ჭკონდა, და მთელი საქართველო, მთელი დედამიწა მას იცნობდა თავისი მუსიკალური შემოქმედებით. ჩვენ ყველანი ვვრძობდით, რომ მოუნდებოდეთ უდიდესი სიყვარულისა, რასაც მისგან ვიღებდით და ადამიანობისა, ის არ იყო ჩვეულებრივი ადამიანი. ის, ღრთა მიღმდინ მოსული ქართულ პარმონიასათ, ქართულ მუსიკასათ, ღრთა სიღრმედან, ღრთა მიღმდ რეალობიდან ჩვენთან მოსული ღმერთის შვილი იყო, რომელიც ღმერთს თავისთან წაიყვანა და მისი საქმეები და მისი მარადისობა დაგვიტოვა.

და დღეს, აი ამ მარადიული წამის წინაშე მდგარი, ამ ისტორიული წამის წინაშე მდგარი, როდესაც ილიასთან, ექვთიმესთან და სხვებთან დარჩება მისი ნეშტი, ამ სკდითი აღვიცილებს და ამ დარდით აღვიცილებს, უნდა გვასწავდეს, რომ მომავლის ქართველები, როდესაც აქ ამოვლენ, ისინი დაინახვენ რომ ქართველებმა ანზორ ერქომაიშვილთან ერთად აქ აღვამდღეთ ჩვენი მუსიკა, აქ აღვამდღეთ ჩვენი გალობა, ჩვენი სიმღერა, აქ აღვამდღეთ პატივისცემა უფროსი თაობების და მასწავლებლების მიმართ.

და ამიტომ ამ მწუხარების უამს, მე, უბრალოდ, ერთი მინდა ვთქვა:

ვისარადეს საქართველო, რადგანაც შენ გყავს ანზორ ერქომაიშვილი! შენ არ დაგიკარგავს ანზორ ერქომაიშვილი! შენ გყავს ეს დიდი მოღვაწე და მისი ლოცვა, მისი საქმეები და მისი შემოქმედება მარად იქნება! მუდამ იქნება ვიდრე იქნება ადამიანი, ვიდრე იქნება მუსიკა და ვიდრე იქნება საქართველო!

მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის!

საქართველოს ფოლკლორის ცენტრს ანზორ ერქომაიშვილის სახელი ეწოდა

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი დაეწინა იწოდება ანზორ ერქომაიშვილის სახელის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრად.

—უდიდესი პატივი ატარებულ საუკუნის მოამგის, ანზორ ერქომაიშვილის სახელს. აღნიშნული გადაწყვეტილება მისი ხსოვნისა და ღვაწლის სათანადო

დაფასებასთან ერთად, საფუძვლს უყრის ცენტრის ახალ სივრცეს, ჩვენი საქმიანობის, თვისებრივად, ახალ ეტაპზე გადასვლას.

გვსურს, საკითხის ინიცირებისათვის მადლობა გადავუხადოთ საქართველოს მთავრობას; კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს — წერს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი.

ანზორ ერქომაიშვილი მთაწმინდაზე დაკრძალეს



2 აპრილს, მუსიკოსი, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სამეურვეო საბჭოს

თავმჯდომარე, ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ანზორ ერქომაიშვილი მთაწმინდის მწვერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, ისტორიკოს სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილს შორის დაკრძალეს.

სამოქალაქო პანაშვიდი სამების საკათედრო ტაძარში გაიმართა. ანზორ ერქომაიშვილის ოჯახს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, პარლამენტის თავმჯდომარე

არჩილ თალაკვაძემ, პარტია „ქართული ოცნება—დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ მიუსამძიმრეს. ანზორ ერქომაიშვილთან გამოსამშვიდობებლად არა ერთი დღე-გაცა ჩავიდა ქ. თბილისში სვანეთიდან, გურია-სამეგრელოდან, საქართველოს სხვა რეგიონებიდან. დღეგაცა ჩავიდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან, მშობლიურ სოფელ მაკვანეთიდან.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი ბატონ ანზორ ერქომაიშვილის გარდაცვალების გამო, წაიკითხა პატრიარქის თანამოსაყდრე მეუფე შიომ (მუფვირი).

„ბატონ ანზორ ერქომაიშვილს ყველა მუდამ დიდ პატივს სცემდა და აღიარებდა მის გამორჩეულ ღვაწლს როგორც ჩვენი ქვეყნის კულტურის წინაშე, ისე მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. მაგრამ მისმა გარდაცვალებამ დაგვანახა, რომ იგი გაცილებით უფრო დიდი და განუმეორებელი იყო, ვიდრე ჩვენ მას აღვიქვამდით.“

ბასთან ერთად, განაპირობებდა იშვიათი სიკეთე და თავმდაბლობა, ამიტომაც გახდა იგი ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის მსახურ ერქომაიშვილთან ცნობილი გვარის ღირსება და საქართველოსთვის დამაშვრალ მამულიშვილთა შორის კელაპტარი ჩაუქრობელი.

მისმა უკვდავმა სულმა ამიერიდან ღვთის წინაშე ახალი ცხოვრება დაიწყო. შეეწიოს მას ჩვენი ლოცვა, ლოცვა ახლობლებისა და სრულიად საქართველოსი და დაუმკვიდროს სავანე მართალთა, ამინ!“

7 დღის ამინდის პროგნოზი							
	წვიმა +5+8		ღრუბლი- +5+10		წვიმა +8+16		მზე, ღრუბლი- +10+21
12 აპრილი ორშაბათი		13 აპრილი სამშაბათი		14 აპრილი ოთხშაბათი		15 აპრილი ხუთშაბათი	
	მზე, ღრუბლი- +10+21		წვიმა- +7+19		მზე, ღრუბლი- +9+18		
16 აპრილი პარასკევი		17 აპრილი შაბათი		18 აპრილი კვირა			

ნოდარ ღონაძე